

საქართველოს კანონი

„საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. საქართველოს ტყის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №28(35), 1999 წელი, მუხ. 148) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-5 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს მთავრობას სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ წინადადებას წარუდგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.“

3. მე-18 მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის საზღვრების შეცვლის შესახებ წინადადება წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, რომელიც წარმოდგენილ წინადადებას ათანხმებს დაინტერესებულ უწყებებთან.“

4. 31-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს სათანადო კატეგორიას ანიჭებს ამ კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად.“

5. 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო ტყესა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დაინტერესებულ პირებთან შეთანხმებით საქართველოს კანონმდებლობითა და ამ კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი